სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**კონფლიქტების ანალიზი და მართვა** Conflict Analysis and Management
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მეცნიერებების დოქტორი** PhD in Social Sciences
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს** (ECTS) და გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: **სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი:** ✓ კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები- 5 კრედიტი ✓ დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი **არჩევითი სასწავლო კომპონენტები: 5 კრედიტი:** ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5-10 კრედიტი ✓ არჩევითი სასწავლო კურსი ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი - 5 კრედიტი **სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს**: ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1 ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2 ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3 ✓ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება. *სადოქტორო პროგრამაზე სწავლება მინიმუმ ექვსი სემესტრია (3 წელი).*
სწავლების ენა	ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი/ /კოორდინატორი	**გუგული მაღრაძე,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ინტერდისციპლინური მიმართულება **რევაზ ჯორბენაძე,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ინტერდისციპლინური მიმართულება.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა „კონფლიქტოლოგიაში“ ან სხვა სპეციალობაში ➢ უცხოური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით); ➢ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; ➢ სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარმოდგენა; ➢ ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში (მათ შორის სადოქტორო კვლევითი პროექტზე - პროსპექტუსზე). გასაუბრება სპეციალობაში არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100%-ს; საიდანაც 40 % არის პროსპექტუსის წონა, ხოლო 60 % კი - კონკრეტულად გასაუბრების, საიდანაც ვლინდება თუ რა ცოდნისა და უნარების მატარებელია აპლიკანტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**კონფლიქტების ანალიზის და მართვის პროგრამის მიზნებია:** ➢ მოამზადოს მოტივირებული და პასუხისმგებლიანი სპეციალისტები კონფლიქტების ანალიზის და მართვის სფეროში დარგის თანამედროვე თეორიული ცოდნისა და კვლევითი სიახლეების ინტეგრირებით; ➢ გამოუმუშაოს დოქტორანტებს კონფლიქტების დარეგულირების სფეროში კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარ-ჩვევები, როგორიცაა: კონფლიქტების პრევენციის, მოლაპარაკებების წარმართვის, მედიაციის, ფასილიტაციისა და სხვა ალტერნატიული პრაქტიკული უნარ - ჩვევები; ➢ ხელი შეუწყოს დოქტორანტებს კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის, მშვიდობის მშენებლობის და შენარჩუნების სფეროში სამეცნიერო კვლევების წარმოებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში; ➢ მოამზადოს დოქტორანტები სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისთვის, რათა მათ შეძლონ ერთი მხრივ, დარგის

	მომავალი სპეციალისტების მომზადება, ხოლო მეორე მხრივ, წვლილი შეიტანონ დარგისა და სოციუმის განვითარებაში პრაქტიკული საქმიანობით.
სწავლის შედეგები	**სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ:**
ა) ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული: ➢ კრიტიკულად და სიღრმისეულად აანალიზებს კონფლიქტების მართვის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კონცეფციებს და პარადიგმებს; ➢ კრიტიკულად აფასებს და კომპლექსურად განაზოგადებს კონფლიქტების სფეროში არსებულ უახლეს თეორიებს და მიდგომებს ინტერდისციპლინური რაკურსით; ➢ განსაზღვრავს დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის როლს, ახალი ცოდნის შემენისა და ინოვაციური კვლევის მეთოდების დაუფლების მნიშვნელობას.
ბ) უნარები	კურსდამთავრებული: ➢ დამოუკიდებლად გეგმავს, წარმართავს და უძღვება დარგთან დაკავშირებულ ინოვაციურ და საზოგადოდ, მეცნიერულ და გამოყენებით კვლევით საქმიანობას; ➢ არჩევს საკვლევი სფეროსთვის ადეკვატურ კვლევით სტრატეგიას, მეთოდს და განმარტავს მოპოვებულ სამეცნიერო მონაცემებს; ➢ შეიმუშავებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს; ➢ ავითარებს ახალ იდეებს კონფლიქტოლოგიის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე სწავლა-სწავლების და პროფესიული საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში; ➢ შეისწავლის სიღრმისეულად მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, კრიტიკულად და სიღრმისეულად აანალიზებს მიმდინარე პროცესებს თანამედროვე კონცეფციების ჭრილში და შეიმუშავებს დარგისთვის შესაბამის რეკომენდაციებს; ➢ წარადგენს დასაბუთებულ და არგუმენტირებულ დასკვნებს, როგორც წერილობით, ასევე ვერბალურად, მონაწილეობს თემატურ დისკუსიაში აკადემიურ და არაკადემიურ საზოგადოებისთან.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული: ➢ მოქმედებს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალსიწინებით;

	➢ მონაწილეობას იღებს კულტურათა შორის დიალოგის მიმდინარეობის პროცესში და აღიარებს კულტურათა მრავალფეროვნებას; ➢ კონფლიქტოლოგიის დარგის აქტუალურ საკვლევ საკითხზე დამოუკიდებლად, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს; ➢ აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას წარმოადგენს ორიგინალურ მეთოდებს/მიდგომებს და საკუთარი წვლილი შეაქვს კონფლიქტოლოგიის დარგის განვითარებაში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** ➢ **ვერბალური,** ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ➢ **დისკუსია/დებატები** – დოქტორანტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, კრიტიკული აზროვნების (ალტერნატიული თვალსაზრისების გამოვლენა, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების, შეფასების წარმოჩენა, ერთი თვალსაზრისის სხვადასხვა პოზიციიდან შეფასება, პრობლემის ანალიზისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების გამოვლენა/შეფასება) განსავითარებლად, კამათის კულტურის ჩამოსაყალიბებლად პროფესორი წარმართავს დისკუსიას და პერიოდულად ერთვება მასში; ➢ **წიგნზე მუშაობა** - თეორიული მასალების (სალექციო და საპრეზენტაციო) დამუშავება; ➢ **წერითი მუშაობა** - წერითი კოლოკვიუმების შესრულება, ესსეს დაწერა, საპრეზენტაციო ტექსტის, აგრეთვე, კვლევითი დავალების წერილობითი ფორმით მომზადება; ➢ **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - კროსკულტურულ კვლევებზე დაყრდნობით ლექციაზე კონკრეტული კულტურალური შემთხვევების განხილვა; მეთოდთა სწავლებისას კონკრეტული კვლევების განხილვის საფუძველზე მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ასპექტების რეფლექსია; ➢ **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - პრობლემის დასმა და გამოყენება საწყის ეტაპად ახალი ცოდნის მიღებისა და კონტექსტუალიზაციისთვის; ➢ **გონებრივი იერიში (Brain storming)** - დოქტორანტებში შემოქმედებითი მიდგომის განსავითარებლად, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რადიკალურად

	განსხვავებული აზრების, იდეების გამოვლენის, გენერირებისა და ვერბალიზაციის ხელშეწყობა. ➢ **ელექტრონული სწავლება (E**-learning) პროფესორის მიერ ერთი ან რამდენიმე მეთოდის გამოყენება ხდება სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **გ)** (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო

	არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით: **სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:** **ა)** "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა; **გ)** "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა; **დ)** "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა; **ე)**[1] "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა; **ვ)**[2] "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა; **ზ)**[3] "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
დასაქმების სფეროები	კონფლიქტების ანალიზის და მართვის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულების, როგორც სოციალურ მეცნიერებათა დოქტორების, დასაქმების სფერო ვრცელია: ➢ უპირველესად პროგრამა ამზადებს სამეცნიერო მკვლევარებს და სწავლების სხვადასხვა საფეხურის პედაგოგებს თავისი კომპენტენციის ფარგლებში; ➢ რადგან მათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებასა და პრევენციაში, შესაბამისად, შეუძლიათ იმუშაონ ყველა სფეროში, სადაც უაღრესად მნიშვნელოვანია კონფლიქტების პრევენცია, მოგვარება,

[1] „ა”-„ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

[2] მე-2 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;

[3] „ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

	მართვა (მაგ.: სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციები; ადგილობრივი თემი; სასწავლო დაწესებულებები და სხვა).
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	დოქტორანტურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 1000 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში** უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები; ასევე მოწვეული პროფესორები. ინტერდისციპლინური მიმართულებიდან პროგრამაში მუდმივად ჩართული არიან: 1. გუგული მაღრაძე, პროფესორი 2. რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი 3. ზურაბ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი 4. ვახტანგ მაისაია, მოწვეული პროფესორი **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ✓ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ✓ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ✓ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ ✓ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus დასხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893

	✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ✓ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ და გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტში.
დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა	• სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულება (30 კრედიტი); • სამი სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა დარგობრივი კომისიის წინაშე; • საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება (თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება. სახელდობრ, დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში). თუ დოქტორანტი არ არის „კონფლიქტების ანალიზის და მართვის“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული და შესაბამისად არ აქვს დარგის, სფეროს ცოდნა, მას ვალდებულება აქვს თავისუფალ მსმენელად დაესწროს სამაგისტრო საფეხურზე სასპეციალიზაციო სასწავლო კურს(ებ)ს.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. სტუდენტმა: • უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები;

	• არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება და/ან სტატუსის შეწყვეტა. საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს **პლაგიატის** დეტექციის პროგრამაში.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს არაუმეტეს 10 სტუდენტისა. სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ შემუშავებულია აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და გადაჭრის ინსტიტუტსა და აშშ დენვერის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრთან თანამშრომლობის და კონსულტაციების საფუძველზე, შესაბამისად, ამავე ინსტიტუტების პროფესორებთან გვაქვს მოლაპარაკება და სიტყვიერი თანხმობა, რომ ისინი ჩართულები იქნებიან სადოქტორო დისერტაციების რეცენზირებაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა
მიმართულება: ინტერდისციპლინური
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კონფლიქტების ანალიზი და მართვა
სწავლების საფეხური: დოქტორანტურა
კრედიტების რაოდენობა: 30 ECTS
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი გუგული მაღრაძე;
პროფესორი რევაზ ჯორბენაძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021; № 69/2021
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022

პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს (ECTS):													
სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
				საკონტაქტო			გამოცდის დრო	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ		შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/	პრაქტიკუმი							

1		კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები[4]	5	30	--	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ნინო დურგლიშვილი ლია წულაძე დავით სიჭინავა დავით სვანაძე ხათუნა მაისაშვილი თეონა მატარაძე რევაზ ჯორბენაძე ალექსანდრე კუხიანიძე კორნელი კაკაჩია
2		დარგობრივი სემინარი	15	--	--	--	--	375	375	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
3		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი (ECTS)													
1		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი

[4] ამ კურსის გასავლელად მნიშვნელოვანია დოქტორანტს ჰქონდეს ცოდნა, რომელიც შეესაბამება მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამაში შემოთავაზებულ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ გაწერილ კომპენტენციებს . თუ მას შესაბამისი კომპენტენცია არ გააჩნია, მაშინ ის შესაბამისი პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე გადის ზემოხსენებულ კურსს და შემდეგ ირჩევს სასწავლო კურსს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში.

2		არჩევითი სასწავლო კურსი ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსები[5]	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	--
კვლევითი კომპონენტი													
1	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1												
2	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2												
3	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3												
4	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა												

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

[5] შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.